სწორი ლენინური გზით!

 კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის წერილის 50 წლისთავი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

КОМУНИСТИ— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 აპრილი ოთხშაბათი 1971 წელი 2 ქაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 86 (14996)

ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲙᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ

ᲘᲡᲔ, როგორც ყველგან, ჩვენს საწარმოშიც ფართო სკკ-ბაასი გაიმართა სკკპ XXIV ყრილობის მასალების ირგვლივ. ჩვენ ერთხმად ვუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის დიდ მიზანდასახულობებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების, მშრომელთა მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესების ნათელ პროგრამად გვესახება.

ახალი ხუთწლედის ამოცანები თვითეული ჩვენგანისაგან თავდადებულ შრომას მოითხოვენ. ამიტომაც არის, რომ დამკვრელურად დავიწყეთ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მეორე კვარტალი. ძალღონეს არ დაზოგავთ, რომ გასულ კვარტალთან შედარებით იგი უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავროთ და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ხუთწლედის მომავალ წარმატებებს.

Ო. ᲯᲐᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ჭარხნის მუშა, გამმართველი.

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თვითეული კოლმეურნე აღფრთოვანებულია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, რამაც ახალი შრომითი ალმავლობა გამოიწვია. რგოლში, რომელსაც მე ვუძღვები, 38 მეჩაიე მუშაობს. რგოლმა შარშან 90 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 16 ტონით გადააჭარბა გეგმას. წელს მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად დიდი მუშაობა გავწიეთ.

ზამთარში ჩავატარეთ პლანტაციების ღრმა გაფხვიერება მინერალური სასუქების შეტანით, დროულად დავიწყეთ და 1 აპრილისათვის დავამთავრეთ ჩაის ბუჩქების გასხვლა. 5 ჰექტარ ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში შევიტანეთ აზოტოვანი სასუქი, დავამზადეთ 16 ტონა საკოფეინო მასალა ნაცვლად 15 ტონისა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად მესამე რგოლის მეჩაიეებმა იკისრეს წელს მოკრიფონ 95 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 18 ტონით აღემატება. ენერგიას არ დაზოგავთ ხუთწლედში დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

Თ. ᲒᲣᲚᲒᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დუშეთის რაიონის ენგვალის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ახალ ხუთწლედში დაიწყება ახალი ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა ენგვალში, რომელიც ერთ-ერთი დიდი ნაგებობა იქნება ჩვენს რესპუბლიკაში. ენგვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი ერთსა და იმავე დროს შეასრულებს სამ ძირითად ამოცანას: ანკარა წყაროს წყლით უზრუნველყოფს ჩვენს დედაქალაქს და რუსთავს, აგრეთვე მათ გარშემო მდებარე კურორტებს, ენგვალის წყალსაცავის ბაზაზე მოირწყვება ათასობით ჰექტარი ფართობი და ამასთან ახალი ელსადგური მოგვცემს მილიონობით კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. ყველაფერი ეს გაკეთდება ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

Შ. ᲒᲣᲚᲒᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დუშეთის რაიონის ენგვალის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თვითეული კოლმეურნე აღფრთოვანებულია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, რამაც ახალი შრომითი ალმავლობა გამოიწვია. რგოლში, რომელსაც მე ვუძღვები, 38 მეჩაიე მუშაობს. რგოლმა შარშან 90 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 16 ტონით გადააჭარბა გეგმას. წელს მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად დიდი მუშაობა გავწიეთ.

ზამთარში ჩავატარეთ პლანტაციების ღრმა გაფხვიერება მინერალური სასუქების შეტანით, დროულად დავიწყეთ და 1 აპრილისათვის დავამთავრეთ ჩაის ბუჩქების გასხვლა. 5 ჰექტარ ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში შევიტანეთ აზოტოვანი სასუქი, დავამზადეთ 16 ტონა საკოფეინო მასალა ნაცვლად 15 ტონისა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად მესამე რგოლის მეჩაიეებმა იკისრეს წელს მოკრიფონ 95 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 18 ტონით აღემატება. ენერგიას არ დაზოგავთ ხუთწლედში დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

Თ. ᲥᲝᲒᲐᲚᲘᲐ.

ზუგდიდის რაიონის ინგურის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მესამე რგოლის ხელმძღვანელი.

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თვენახევრის შემდეგ ვ. ი. ლენინმა წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ — დასასრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანები.

ამ დღეებში შესრულდება ამ წერილის 50 წლისთავი, და დღეს, საქართველოს, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, სიამაყით უპატაკებენ სამშობლოს, პარტიას, ხალხს, რომ ლენინის წინასწარდასახულობანი წარმატებით ხორციელდება.

ვ. მეკვანაძის გამოსვლიდან სკკპ XXIV ყრილობაზე.

□ □

ᲛᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა, მისი სვებედნიერი ხალხი. ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა ლენინის პარტიის XXIV ყრილობამ. დელეგატები დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში და თან ჩამოიტანეს ის დიდებული განწყობილება, რაც ახლდა ყრილობის მთელ მუშაობას.

და სწორედ ამ კარგ განწყობილებას, ახალი შრომითი გამარჯვების მოპოვების, შენების, შემოქმედებითი ძიებისა და შემართების განწყობილებას საქართველოში აორკეცებს საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადება და ამასთან იმის ღრმა შეგნება, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე მოპოვებული ყველა წარმატება სისწორცელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან, მის გენიალურ წინასწარდასახულობასთან.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინმა კავკასიაში გამოგზავნა ცნობილი წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“. მასში მეცნიერული წინასწარხედვით გადმოცემული იყო მთელ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში სოციალიზმის შენებლობის ნათელი პროგრამა. ლენინის წერილი იწყებოდა სიტყვებით: „მᲮᲣᲠᲗᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲠᲐ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ, ᲜᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲗᲕᲘᲗ ᲛᲔᲫᲚᲔᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲛᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲮᲘᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ“. დიდი ხანია, რაც გამართლდა ბელადის იმედი. ისტორიას ჩაბარდა ძმათამკვლელი ომი და ახლა ხალხთა ძმობის გზა გადის მთელ კავკასიონზე. ისინი მართლაც იძლევიან არა მარტო „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიული წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“, არამედ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სრულიად ახალ ნიმუშს.

ვ. ი. ლენინი კავკასიელ კომუნისტებს მოუწოდებდა განეკითარებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც გარდაქმნიდა მხარეს, ააღორძინებდა მას, დაასამარებდა წარსულს და განამტკიცებდა სოციალიზმზე გადასვლას. და დღეს საბჭოთა საქართველოს მაგალითზე დიდებულად ჩანს, თუ როგორ შეეხნა ხორცი ლენინურ მითითებებს. საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების შედეგად დიდი ხანია დასამარდა წარსული და დღეს ვეღარ იცნობთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. საქართველო ამაყობს არა მარტო ჭიათურის მარგანეცით, ტყვარჩელის მაღაროებით, არამედ მძლავრი სამრეწველო საწარმოებით, რომელთა პროდუქციას შეადგენს თუჯი და ფოლადი, ავტომობილი და სინთეზური ნაკეთობანი, ჩაის საკრეფი მანქანა და ურთულესი ჩარხები... ზაჰესით დაწყებული თეთრი ნახშირის გამოყენება საქართველოში ავიდა ენგურჰესის უნიკალურ მშენებლობამდე. კოლხეთის ჭაობები ციტრუსებმა დაფარეს, ხოლო წარსულში გაუვალი ეწერი — ჩაის ხავერდოვანმა პლანტაციებმა. მორწყვის შედეგად სიცოცხლე ჩადგა ათასობით ჰექტარ ხრიოკ მიწაზე და ახლა იქ ჰყვავის ქართული ვაზი დ: ბაღი....

ვ. ი. ლენინის მიერ საწარმოო ძალების განვითარებაზე წამოყენებული ამოცანის მიზანი იყო მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. იგი კავკასიელ კომუნისტებს მოუწოდებდა: „...ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲤᲐᲠᲘᲐᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲗᲕᲘᲗᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲯᲛᲯᲝᲑᲔᲡᲚᲐᲓ.... ᲔᲠᲗᲑᲐᲜᲐᲓ ᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲒᲐᲐᲣᲯᲛᲯᲝᲑᲔᲡᲚᲝᲗ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ“... და მართლაც კავკასიელ კომუნისტებთან ერთად საქართველოს კომუნისტებმა უდიდესი ღონისძიებანი განახორციელეს მშრომელთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ისტორიას ჩაბარდა უგზოობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, მიწური და გომური, ჯარგვალი და ფაცხა სოფლად შეიცვალა თანამედროვე ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სახლებით. არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც კოლმეურნეთა ოჯახებში აციმციმდა ცისფერი ეკრანი — დაინერგა ელექტროენერგია, გაზი, გასაოცრად გაიზარდა საბინაო მშენებლობა ქალაქებში. კეთილდღეობის ამაღლებამ დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ზრდაზე. საქართველოს მოსახლეობის რიცხვი 1921 წლის 2.411 ათასი კაციდან 1971 წლის დამდეგისათვის გაიზარდა 4.734 ათასამდე, ე. ი. თითქმის ერთიორად.

აფასებდა რა ვ. ი. ლენინის წერილის — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ — უდიდეს მნიშვნელობას და იმ როლს, რაც მან შეასრულა კავკასიელი კომუნისტებისა და მშრომელთა ცხოვრებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეკვანაძე სკკპ XXIV ყრილობაზე ამბობდა: „...ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲘᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲣᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ“.



ვ. ი. ლენინი. მოსკოვი, 1921 წელი.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ, ᲓᲐᲦᲘᲡᲢᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲛᲮᲔᲚᲜᲐᲒ-ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ᲒᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშად, ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის მᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲨᲘ, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას არსად არა ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. პირიქით, იგი მთელი წლობით იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკური და ცოტაოდენი სამხედრო დახმარება ჰქონდათ რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. ეს ძირეული განსხვავებაა.

მეორე: ახლა აღარ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეს, დაღისტნელ და მთიელ თეთრგვარდიელებს. ანტანტამ „ხელები მოიწვა“ რუსეთზე, და ეს აიძულებს მას ერთხანს, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან; კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან.

ეს არაა ყველა განსხვავება. მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა.

მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა ეროვნული ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელცვლა საზღვარგარეთთან.

ეს უნდა გაკეთდეს ფართოდ, მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად, ამასთან ეს ყოველნაირად უნდა გამოიყენოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეურნეობის მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბმელად. მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა და ამისათვის გამოიყენეთ საქონელცვლა იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან. მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს.

უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიგნოთ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით.

ჩვენ პირველად შევანგრიეთ მსოფლიო კაპიტალიზმის კედელი. იგი შენგრეულია. ჩვენ დავიცავით თავი გააფთრებულ, ზებუნებრივ, მძიმე და ძნელ, მწვავე და მძაფრ ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა მთელი ანტანტა, მის მიერ მოწყობილი ბლოკადა, მისი სამხედრო დახმარება.

თქვენ, კავკასიელო ამხანაგო კომუნისტებო, კაპიტალიზმის კედლის შენგრევა აღარ გჭირდებათ, უნდა შეძლოთ მეტი სიფრთხილითა და სისტემატურობით შექმნათ ახალი და საამისოდ გამოიყენოთ თქვენთვის ხელსაყრელი 1921 წლის საერთაშორისო ვითარება. ევროპაც და მთელი მსოფლიოც 1921 წელს ის აღარაა, რაც 1917 და 1918 წლებში იყო.

ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბანსიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები. ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდენით კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან საქონელცვლას და არ იძუნწოთ: დაე ათეულ მილიონობით უძვირფასესი სამთო პროდუქტი ხვდეს მას.

ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას.

ბოდიშს ვიხდი, რომ ეს წერილი ასე დაუდევრად არის შედგენილი, მაგრამ იძულებული ვიყავი ნაჩქარევად დამეწერა, რათა ამხ. მიასნიკოვისათვის გამომეტანებინა, და ერთხელ კიდევ მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.



მოსკოვი, 1921 წლის 14 აპრილი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საქართველოს 50 წლისთავის დღისასწაულის წინ თბილისელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — დამთავრდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობა. მინითა და ბეტონით ნაგები თანამედროვე შენობა, რომელიც აშენდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ჩხენკელის პროექტით, საქართველოს დედაქალაქის ნამდვილი მშვენებაა. რესპუბლიკის მშენებლებმა ძალ-ღონე და ენერგია არ დაიშურეს, რათა დადაზე დამთავრებინათ ეს რთული კომპლექსი.

ბუნებრივია, რომ ამ ხელოვნების სასახლის პირველი სტუმრები თვით მშენებლები იყვნენ.

13 აპრილს აქ გაიმართა მშენებელთა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობის დამთავრებას. საღამო მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ და კულტურის სამინისტრომ. უზარმაზარ დარბაზში, რომელიც 2.400-მდე კაცს იტევს, შეიკრიბნენ მოწინავე მშენებლები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. კოშუნიძემ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საკონცერტო დარბაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — „მთავართბილმშენის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ და ეს საპატიო ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენის“ უფროსს ბ. შენგელიას.

მშენებელთა სახელით გ. შენგელიამ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მშენებელთა მამაცური შრომის მაღალი შეფასებისათვის და საკონცერტო დარბაზის დირექციას გადასცა შენობის სიმბოლური გასაღები.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ვაშაკიძემ, „მთავართბილმშენის“ მე-4 სამმართველოს მეშენტალიემ ო. სულაქმე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორმა დ. კიბანაქმე, საწარმოო ვენტილაციის სამმართველოს ზეინკალმა ო. გობეიშვილმა, თბილისის სარკაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტმა თ. მგალობლიშვილმა, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ ი. ციციშვილმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები და მხატვრული კოლექტივები.

საღამოზე იყვნენ მ. ფრბიჩაშვილი, ა. ინაური, შ. კიბანაძე, ს. კუტრკოკინი, ო. ლოლაშვილი, ვ. მეკვანაძე, ა. ჩუბინიანი, ნ. ცხსკაია, შ. ბანუყვაძე, ბ. ჯაკაბიშვილი, რ. მეტრეველი, ო. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი. (საქდისი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დადგინეს:

1. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ა. ზაქარიაძის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნან კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები მ. ა. გოგიჩაიშვილი (თავმჯდომარე), დ. კ. ანთაძე, ა. მ. ბალანჩივაძე, შ. ე. ბუხრაშვილი, ნ. შ. ვასაძე, ი. ვ. თაქთაქიშვილი, ტ. ტ. საღარაძე, შ. ა. სალარიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ე. ჩხარტიშვილი, დ. ი. ჩხიკვიშვილი, მ. ე. ჭიაურელი.

2. ს. ა. ზაქარიაძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

3. ს. ა. ზაქარიაძე დაიკრძალოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

Ს. Ა. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება მომდინარე წლის 14, 15 აპრილს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (ფალიაშვილის ქ. № 118), 16 აპრილს საღამოს 7 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში.

17 აპრილს განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება დილის 12 საათიდან, პანაშვიდი—დღის 4 საათზე, გამოსვენება 5 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრიდან.

ლენინის წინასწარდასახულობანი

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!



ზაჰესის კაშხალი — ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გვირაბი ენგურჰესის მშენებლობაზე. — ფოტო ს. კილაძისა.

ზაჰესიდან ენგურჰესამდე

დიდია ელექტროენერგიტიკის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციას. სხვა მრომელ ხალხებთან ერთად ქართველ ხალხსაც დიდი მიღწევები აქვს ელექტროენერგეტიკის განვითარებისა და ელექტროენერგიის გამოყენების საქმეში.

სულ სხვა სურათი იყო 50 წლის წინათ, როცა ქართველი ხალხი სოციალიზმის მშენებლობის ეპოქას დაადგა. ამ დროისათვის საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე მხოლოდ 8.900 კილოვატს შეადგენდა, მათი წლიური გამომუშავება კი 21 მილიონ კილოვატ-საათს არ აღემატებოდა. ეს იყო წვრილი, ოზოლირებულად მომუშავე სადგურები, რომლებსაც უმთავრესად განათებისათვის იყენებდნენ. 1922 წელს თბილისში მუშაობდა 44 ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 6.150 კილოვატს არ აღემატებოდა. ასეთ ენერგეტიკულ მეურნეობაზე დაყრდნობით მსხვილი, სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა შეუძლებელი იყო. 1920 წლის იანვარში ვ. ი. ლენინმა დასახა ქვეყნის ელექტრიფიკაციის პერსპექტიული გეგმის შედგენის ამოცანა. ხოლო მისი უშუალო მითითებით იმავე წლის თებერვალში დაარსდა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია — „გოელრო“.

1922 წლის 23 მაისს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ზაჰესის მშენებლობის შესახებ, ხოლო იმავე წლის 10 სექტემბერს ზაჰესის საძერვიცაცო არხის მშენებლობაზე მოეწყო თბილისის მუშების შაბათობა, რომელშიც 4 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ზაჰესი მოკლე დროში აშენდა და 1927 წლის 26 ივნისს შედგა მისი საზეიმო გახსნა. უკვე 1932 წელს სადგურმა გამომუშავა 81,3 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. შემდგომ სადგურის სიმძლავრე 36.800 კილოვატამდე გაიზარდა.

1927 წელს გადაწყდა დაწყებულიყო საქართველოს მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგურის რიონ-ჰესის მშენებლობა. მისი 12.500 კილოვატის სიმძლავრის პირველი აგრეგატი 1933 წელს ამუშავდა. ამ დროისათვის კი მოეწყო 110-კილოვატიანი ხაზი ზაჰესი-რიონჰესი, რომელმაც უზრუნველყო რიონჰესის და ზაჰესის პარალელური მუშაობა. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ენერგოსისტემას.

1934 წელს დაიწყო მძლავრი მარეგულირებელი სადგურის ხრამჰესი-I-ის მშენებლობა. ამავე პერიოდში დაიწყო საქართველოს პირველი მძლავრი თბოელექტროსადგურის — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობაც. თბოელექტროსადგური 1938 წელს ამუშავდა და საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრეს 134,1 ათას კილოვატს მიაღწია. 1947-1950 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მარეგულირებელი სადგურის — ხრამჰესის აგრეგატები და ჩითახევჰესი, ხოლო 1950-1960 წლებში აშენდა მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არის შაორის მარეგულირებელი სადგურები, ორთაჭალესი, გუმათაჰესი I და II, სამგორის კასკადი. 1960 წელს სამრეწველო დენი გამომუშავა ლაჯანურჰესმა, რომლის თაღოვანი კაშხალი პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

1960 წელს ელექტროსადგურების სიმძლავრემ 894,9 ათასი კილოვატი შეადგინა და მათ მიერ გამოშვებულ იქნა 3,7 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. 1963 წელს ამოქმედდა ხრამის კასკადის მეორე საფეხური ხრამჰესი-2, რომელმაც საგრძნობლად აამაღლა ხრამჰეს-I-ის ეფექტიანობა.

1960 წელს დაიწყო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა. სადგურის პირველი რიგი — სამი ენერგობლოკი 1963-1965 წლებში ამუშავდა, შემდგომ კიდევ დაიდგა სამი ენერგობლოკი, და სადგურის სიმძლავრემ 930 ათას კილოვატს მიაღწია.

1961 წელს დაიწყო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობა. ენგურჰესი არის ხუთი ელექტროსადგურის კომპლექსი, რომლის საერთო სიმძლავრე 1 მილიონ 640 ათას კილოვატს შეადგენს, ხოლო საერთო გამომუშავება 5,5 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწევს.

1970 წელს საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრემ მიაღწია 2,08 მილიონ კილოვატს და გამომუშავებულ იქნა 8,9 მილიარდზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდასთან ერთად იზრდებოდა რესპუბლიკის ელექტროქ�ლები.

საქართველოს ენერგოსისტემა ამჟამად 330-კილოვოლტიანი ხაზით გაერთიანებულია აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემებთან, შექმნილია ამიერკავკასიის ენერგოსისტემა, ხოლო 220-კილოვოლტიანი ხაზით შეერთებულია კრასნოდარის ენერგოსისტემასთან. ამჟამად საქართველოს ყველა ელექტროსადგური და ქვესადგური ნაწილობრივ ან მთლიანად ავტომატიზებულია. ენერგოსისტემის მართვა წარმოების ცენტრალური სადისპეტჩეროპუნქტიდან ტელემექანიკის და ავტომატიკის უახლეს საშუალებათა გამოყენებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინათ სოფლში ელექტროენერგია საერთოდ არ იყო, ამჟამად სოფლის ელექტრიფიკაცია დამთავრებულია, გარდა მაღალმთიანი რაიონების ზოგიერთი მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტისა, რომლებიც უახლოეს პერიოდში მიიღებენ ელექტროენერგიას. საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება კომუნალურ-ყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის.

მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოს ენერგეტიკის წინაშე წარმტაცი პერსპექტივები ისახება. ამოქმედდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგური, დაიწყება ენგურის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. თბილისის რაიონულ სახელმწიფო ელექტროსადგურში დაიდგმება ორი ახალი ენერგობლოკი და მისი სიმძლავრე 1 მილიონ 250 ათას კილოვატს მიაღწევს. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკის განვითარება წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების მაღალ ტემპებს.

გ. ბოლქვაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲑᲔᲚᲐᲓᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ

უდიდესი დიდი დამრაზმავი და მაორგანიზებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ კავკასიელი კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილებს. და როცა მამია ორახელაშვილი ეხებოდა ლენინის წერილების სწორედ ამ მხარეს, ძმაყოფილებით აღნიშნავდა: „ეს წერილები ჩვეულებრივ არ არის გრძელი, მაგრამ ისინი ისეა დაწერილი, რომ მათი წაკითხვის შემდეგ ვერ დაწყნარდები იმ დრამდე, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის მიერ მოცემულ რჩევა-დარიგებებს“.

მეშვრიტად ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წერილს კავკასიელი კომუნისტებისადმი, რომელიც დაწერილია 1921 წლის 14 აპრილს.

ისმება კითხვა, როგორია ამ წერილის შექმნის ისტორია?

ამ ხანებში მოსკოვში მოიმუშავა გამოჩენილი ბოლშევიკი ა. მიასნიკოვი დაინიშნა სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. ხამშობლოში გამომგზავრების წინ — 18 აპრილს იგი მიეღო ვ. ი. ლენინს და ვრცელი საუბარი ჰქონია მასთან კავკასიის თავისებურ პირობებზე, აქ მუშაობის რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანებზე. შემდეგში ა. მიასნიკოვი თავის მოგონებაში წერდა: „მე ვთხოვე ამხანაგ ლენინს მოკლედ ჩამოეყალიბებინა ქაღალდზე თავისი აზრები წერილის სახით, რათა ეს წერილი გადამეცა კავკასიელი ამხანაგებისათვის და მათ შეძლებოდათ ეხელმძღვანელათ მით თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. ლენინი სიამოვნებით დათანხმდა. მეორე დღესვე მიკოიანმა მომიტანა მისი წერილი“.

ა. მიასნიკოვი თბილისში ჩამოვიდა 2 მაისს. იგი ლენინის წერილის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა რკპ (ბ) ცკ კავკასიის ბიუროს სხდომაზე, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება: ვ. ი. ლენინის წერილი გამოქვეყნდეს პრესაში და სახელმძღვანელოდ გაიხადონ მასში განვითარებული პრინციპული დებულებები.

ვ. ი. ლენინის წერილი 8 მაისს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდა გრუზიი“-ში და გაზეთ „კომუნისტში“. სომხეთის გაზეთებში იგი გამოქვეყნდა 10 მაისს, ხოლო აზერბაიჯანში 15 მაისს, და დაიწყო მისი ფართო პროპაგანდა პარტიულ ორგანიზაციებსა და მთელ მოსახლეობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანახელებული წერილი ვ. ი. ლენინის ოხუნჯლებებში შევიდა გაზ. „პრავდა გრუზიი“-ში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

ამრიგად, დიდი ბელადის აღნიშნული წერილი საერთოდ პირველად საქართველოში გამოქვეყნდა.

ვ. ი. ლენინი ზედმიწევნით იცნობდა საქართველოსა და მთელი კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურ პირობებს, ამასთან, ითვალისწინებდა რა საერთაშორისო მდგომარეობას, თვლიდა, რომ საქართველოს და მთელ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანას, სოციალისტური შენებლობის წარმატებას არსებითად წყვეტს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების თავისებური ტაქტიკის გატარება. ამიტომ იყო, რომ როგორც კი კავკასიის რესპუბლიკებში დაჩარდა საბჭოთა ხელისუფლება, ვ. ი. ლენინმა მაშინვე შეიმუშავა და განაზღვრა კავკასიის კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებანი და მეცნიერული სიღრმითა და სიცხადით ჩამოაყალიბა ისინი კონკრეტულ დებულებათა სახით.

ვ. ი. ლენინმა თავის წერილში უწინარეს ყოვლისა ხაზი გაუსვა კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებათა გადამწყვეტ მნიშვნელობას და გადაჭრით მიუთითა, რომ ყველა მნიშვნელოვან ამოცანათა შორის „კიდევ უფრო უეჭველად მნიშვნელოვანია შეეგინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება“. ლენინმა იქვე ახსნა, თუ რაზეა ეს დამოკიდებული და პირდაპირ მუთითა, რომ „ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტამდე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სწს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძოლა კი არ გადაიქცეს ჩვენი ტაქტიკა, არაფერ მოფიქრებულად შეუფარდონ იმი კონკრეტული პირობების სხვაობას“.

მას შემდეგ, რაც გარკვეულ იქნა კავკასიელი კომუნისტების თავისებური ტაქტიკის გამომწვევი პირობები, ლენინი განმარტავს, თუ რით უნდა გამოიხატოს პრაქტიკულად ტაქტიკის ეს თავისებურებანი, და მოკლედ და სხარტად აყალიბებს მათ დებულებით: „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილ बुरჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“.

დიდი ლენინის ამ მითითებებს ეშეშარიტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიელი კომუნისტების მთელი შემდგომი მოღვაწეობისათვის.

გ. ორახელაშვილმა მეტად მოხდენილად და ზუსტად შეაფასა ლენინის მითითებათა მთელი მნიშვნელობა კერძოდ საქართველოსათვის. იგი წერდა, რომ როგორც კი მივიღეთ ლენინის მითითებანი, მაშინვე „თითქოს ძლიერი პროეექტორის სხივებმა გააშუქეს საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი განსაკუთრებული პოლიტიკური ამოცანები“.

ლენინური ტაქტიკის განხორციელების შედეგად გახდა შესაძლებელი როგორც კავკასიის სხვა რესპუბლიკების, ისე საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, წვრილი გლეხური მასების აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

წვრილი ვაჭრებისადმი გარკვეულ დათმობათა ლენინური ტაქტიკის განხორციელებამ ხელი შეუწყო საქონელბრუნვის განვითარებას, გააადვილა სურსათთა და სხვა პირველმოთხოვნილების საგნებით მშრომელთა მომარაგების საქმე და შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ხელისუფლებას მეტი ყურადღება მიექცია სამეურნეო მშენებლობისათვის.

ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მითითებას ინტელიგენციისადმი ფრთხილი და დათმობითი დამოკიდებულების შესახებ. ლენინი ჯერ კიდევ 2 მარტს სპეციალურად საქართველოს კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილში იძლეოდა მითითებას, რომ „აუცილებელია ქართველი ინტელიგენციის... მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა“.

ვ. ი. ლენინის ეს მითითება გაიხსნა როგორც ჩვენი პარტიისა და მთავრობის დოკლარაცია, რამაც ერთბაშად მოახდინა გარდატეხა ქართველი ინტელიგენციის განწყობილებაში, მისი უდიდესი ნაწილი თავიდანვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე დღეს — 27 თებერვალს პირდაპირი მავთულით საუბრისას მოახსენებდა ლენინს: „რევკომში ერთიმეორეზე მოდიან დელეგატები სხვადასხვა საზოგადოებისა... პარტიული და უპარტიო ინტელიგენციიდან და აცხადებენ, რომ მზად არიან იმუშაონ საბჭოთა მთავრობასთან ერთად, არა შიშის გამო, არამედ კეთილსინდისიერად“.

ქართველი ინტელიგენციისადმი ლმობიერი დამოკიდებულების ლენინური პოლიტიკის განუხრელად გატარებით შესაძლებელი გახდა შეგვინარჩუნებინა ძველი ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები, რომლებიც იდეურად გადასახლისების შედეგად აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტურ მშენებლობაში და დღესაც უდიდესი წვლილი შეაქვთ არა მარტო ქართული მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების საგანძურშიც.

ვ. ი. ლენინი ზედმიწევნით იცნობდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ მდგომარეობას, მან კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე არ გამქრალა ეროვნული განცალკევებულობისაკენ მისწრაფებისა და ეროვნული უნდობლობის ნაშთები, რასაც თითქმის სამი წლის განმავლობაში ასე გულმოდგინეთ ნერგავდნენ და აღვივებდნენ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ნაციონალისტურ-კონტრრევოლუციური პარტიები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების, მათი სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღორძინების ერთადერთი შესაძლო და სწორი გზა — ეს იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინი.

1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი ალარ იმეორებდა მითითებებს ამ ფედერაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რადგან ასეთი მითითებანი მან უფრო ადრე მისცა კავკასიელ ამხანაგებს. 14 აპრილის წერილში ლენინი ხაზს უსვამდა მხოლოდ კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის პოლიტიკურ მნიშვნელობას. მიესალმებოდა რა კავკასიის რესპუბლიკებს, ვ. ი. ლენინი სრული რწმენით აცხადებდა: „ნუბას ბაძლევ თავს გაბოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახულ და ბურჟუაზიულ ყოფიერებაში შეუძლებელი ეროვნული მფვიდობიანობის ნიმუშს“.

ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკების მთავარი საზრუნავი საკანონ და ამ მიმართულებით ისინი ჭეშმარიტად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ. ფედერაციის შექმნით უზრუნველყოფილ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნამდვილი ძმური თანაშრომლობა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, და ამ საფუძველზე სავსებით და საბოლოოდ აღმოიფხვრა რა ეროვნული შუღლის, უნდობლობისა და ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთები, შეიქმნა იმ „ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“, რომლის აუცილებლობაზე ასე კატეგორიულად მიუთითებდა და ზრუნავდა დიდი ლენინი. მაშინ შექმნილი და გამოწრთობილი ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი ტრადიციები, ფედერაციის გაუქმების შემდეგ, სულ უფრო მდიდრდებოდა და მდიდრდება ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სოციალისტური ერების ძმობისა და მეგობრობის ახალ-ახალი ფორმებით.

3. ᲯᲘᲨᲙᲘᲜᲐᲫᲔ მოიყვანა ვ. ი. ლენინის სიტყვები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ეროვნული მშვიდობიანობის შექმნის შესახებ და განაცხადა: „ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲜᲒᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲗᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ, ᲒᲐᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ“.

ᲯᲘᲨᲙᲘᲜᲐᲫᲔ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲙᲐᲪᲝᲒᲠᲘᲝᲒᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲛᲘ

1961 წლის 12 აპრილი, როცა საბჭოთა კავშირის მოქალაქემ კოსმონავტმა იური გაგარინმა დედამიწის ატმოსფეროში პირველმა შეაღწია კოსმოსის კარი, სამუდამოდ დარჩება მადლიერი შთამომავლობის მეხსიერებაში.

1971 წლის 12 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში ჯაბარმთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა იური გაგარინის მიერ პილოტირებული ხომალდის „ვოსტოკის“ გაშვების ათი წლისთავს და კოსმონავტიკის დღის.

დარბაზში არიან სკკპ XXIV ყრილობის მონაწილე მოძმე პარტიათა წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№2-ᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1971 Წ.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

□

დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲡ, გ. ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲡ, ᲕᲐ. ᲒᲠᲘᲨᲘᲜᲡ, Ა. Ჯ. ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝᲡ, Ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲡ, ᲗᲘ. Დ. ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲡ, Კ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲡ, ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ, Დ. Შ. ᲞᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ, Მ. Ა. ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲡ, Ა. ნ. ᲨᲔᲚᲔ�პᲘᲜᲡ, ᲗᲘ. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲘᲩᲝᲕᲡ, Ა. ნ. ᲓᲔᲛᲘᲩᲔᲕᲡ, Დ. ᲗᲘ. ᲣᲨᲐᲙᲝᲕᲡ, ᲗᲘ. Ვ. ᲙᲐᲠᲞᲘᲜᲡᲙᲘᲡ, Კ. ᲗᲘ. ᲙᲐᲢᲣᲨᲔᲕᲡ, Ბ. ნ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲡ, Მ. Შ. ᲡᲝᲚᲝᲛᲔᲜᲪᲔᲕᲡ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრებს, კომსომოლის მფრინავებს.

მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ Ვ. ᲗᲘ. ᲞᲠᲝᲜᲘᲜᲘᲡᲚᲝᲕᲛ.

ᲫᲚᲔᲠᲘ საბჭოთა კავშირის ᲮᲘᲛᲜ.

სიტყვა ეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. ვ. ᲙᲔᲚᲓᲘᲨს.

— **წელს კოსმონავტიკის დღეს, — თქვა მან, — აღვნიშნავთ ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ.**

ჩვენი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, განაგრძო მეცნიერმა, ტექნიკური პროგრესი, რომელსაც საფუძვლად უდვეს მეცნიერების დიდი აღმოჩენები, ბუნების მოგლენათა ღრმად ჩაწვდომა. სოციალისტურმა სისტემამ, მეცნიერებისა და ტექნიკის საერთო წარმატებებმა, ეკონომიური განვითარების მაღალმა დონემ საშუალება მისცეს ჩვენს ქვეყანას წამყვანი მდგომარეობა დაიკავებინა კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში.

კოსმოსში ადამიანის გასაფრენად უდიდესი მუშაობა დასჭირდათ ჩვენს მეცნიერებს, ინჟინრებს, კონსტრუქტორებსა და მუშებს. კოსმოსური ხომალდები „ვოსტოკი“ რაკეტული და კოსმოსური სისტემების გამოჩენილი კონსტრუქტორის აკადემიკოს სერგი პავლეს-ძე კოროლიოვის მეთაურობით შექმნა კოლექტივმა სხვა სამეცნიერო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან და ქარხნებთან თანამეგობრობით. საიმედო კოსმოსური ხომალდის შესაქმნელად, მისი ფრენის უზრუნველსაყოფად და დედამიწაზე დასაბრუნებლად საჭირო იყო გადაგვეჭრა ბევრი რთული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემა. უნდა შეგვექმნა მატარებელი რაკეტა და ხომალდი, შეგვიმუშავებინა მართვის სისტემები და ცხოველმოქმედების აგტონომიური სისტემები, უზრუნველგვეყო ხომალდის რადიაციული დაცვა და თბოდაცვა დედამიწაზე დაშვებისას. ფართო მეცნიერულმა კვლევამ, მათ შორის დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების კვლევამ, საშუალება მოგვცეს ღრმად შეგვისწავლა ზედა ატმოსფეროსა და დედამიწის ირგვლივი კოსმოსური სივრცის პირობები. მიგიღეთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენის ფაქტორები ცოცხალ ორგანიზმზე.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ გაწეული გრანდიოზული მუშაობა წარმატების იმედს გვაძლევდა, მისი შედეგები საბოლოო შემოწმება შეიძლებოდა მხოლოდ თვით ადამიანის კოსმოსში ფრენის დროს. გაგარინის გაფრენა იყო ნაბიჯი უცნობ სამყაროში, პირველი ნაბიჯი, რომელიც ყოველთვის ყველაზე ძნელია.

პირველი გაფრენისათვის უნდა შეგვრჩია კაცი, რომელსაც ექნებოდა არა მარტო საჭირო ცოდნა, უნარი, არამედ აგრეთვე განსაკუთრებული ვაჟკაცობა, ამტანობა და თავდაჭერა, ხაზი გაუსვა მეცნიერმა. ასეთი იყო იური გაგარინი.

კაცობრიობის ისტორიაში პირველმა გაფრენამ კოსმოსში საშუალება მოგვცა გამოგვეტანა უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის დასკვნა კოსმოსურ სივრცეში ადამიანის შეღწევის პრაქტიკული შესაძლებლობის შესახებ და იგი პირველი ნაბიჯი იყო საძლანეტათშორისო ფრენის გზაზე.

აკადემიკოსმა დასასრულ საბჭოთა კოსმონავტების ეტაპური გაფრენები, აღნიშნა, რომ 1969 წლის იანვარში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული კოსმოსური სადგური, რომ „სოიუზ-9“ ხომალდით ყველაზე ხანგრძლივი — 18 დღე-ღამის ფრენა განახორციელეს კოსმონავტებმა ა. გ. ნიკოლაევმა და ვ. ი. სევასტიანოვმა. „სოიუზ-9“ ხომალდის ფრენამ გვიჩვენა, რომ კოსმონავტებს შეუძლიათ წარმატებით მუშაობა ხანგრძლივი უწონობის პირობებში.

დასასრულ მ. ვ. კელდიშმა თქვა: დადგება დღე, როცა ადამიანი მოაწყობს საპლანეტათშორისო გაფრენას, მაგრამ ადამიანთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება იური გაგარინი — პლანეტის პირველი კოსმონავტის, კომუნისტის, მომხიბლავი და მამაცი ადამიანის ვმირობა.

ტრიბუნაზეა მოსკოვის პროეექტორის ქარხნის ელექტრომონტაჟი. სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი ᲗᲘ. ᲗᲘ. ᲙᲐᲠᲢᲐᲨᲝᲕი.

— **სამართლიანად ვამაყობთ იმით, — თქვა მან, — რომ სამყაროს კარი პირველმა ჩვენმა თანამემამულეებმა შეაღეს. ჩვენ ვიცავთ და ვცავთ ვიქნებით ბედენ მრავალი შესანიშნავი მიღწევის მოწმენი კოსმოსის ათვისებაში, მაგრამ იური გაგარინის — მუშის ოჯახის შვილის გაფრენა იყო პირველი ნაბიჯი უცნობ სამყაროში, ნაბიჯი, რომელიც ყოველთვის ძნელია, რადგან ისტორიაში ჯერ კიდევ არ გადადგმულა ასეთი ნაბიჯი.**

შემდეგ გამოდის სრულიად საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. Ა. ᲫᲣᲞᲠᲘᲜᲘᲜი.

წელს, თქვა მან, ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო ახალგაზრდული დღე ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ღირსსახსოვარ დროს აღინიშნება.

თვითეული ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი, რომელთა ფიქრები და საქმენი განუყრელად არის დაკავშირებული კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლასთან, ახლა ცხოვრობს და შრომობს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენის — მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წარუშლელი შთაბეჭდილებით.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ Ა. Გ. ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜს — კოსმონავტ მფრინავს, ავიაციის გენერალ-მაიორს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს.

1961 წლის 12 აპრილის დილას დედამიწის ადამიანებმა კოსმოსური ერის დილა უწოდეს. ამ ყველასათვის სამახსოვრო დღის დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“, რომელშიც იყო ადამიანი — საბჭოთა მფრინავი, კომუნისტი იური ალექსის-ძე გაგარინი.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ჩვენმა ქვეყანამ — კოსმონავტიკის სამშობლომ — თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა ვარსკვლავთა ოკეანის ათვისებაში. თანამემდგომლურად და მიზანსწრაფულად ხორციელდება კოსმოსური სივრცის ათვისების ვრცელი პროგრამა.

ამ რამდენიმე დღის წინ ამ დარბაზში მუშაობა დაამთავრა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ, განაგრძო ა. გ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲛ. ღიონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დიდებული ამოცანები და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის, სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ ამაღლებას.

**ბევრი რამ გადაწყდება პილოტირებული ატარტების მეშვეობით. განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებენ ხანგრძლივი ორბიტული საფრენები. ასეთი საფრენების აწყობა, მათზე ეკიპაჟების მიყვანა, მათი ცხოვრებისა და მუშაობისათვის საჭირო ყოველგვარი პირობების შექმნა კოსმონავტებისაგან მოითხოვენ დიდ ცოდნას, დაძაბულ შრომ

წარმატებით ხორციელდება

ყრილობის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

> ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები) სპილენძი— ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არა სრული სია.
>
> **ვ. ი. ლენინი**

დღეს ტყვარჩელში

ერთადერთი საცალფეხო გზა მიემართებოდა შავი ზღვის სანაპიროდან ტყვარჩელის მიმართულებით. მთები, გაუვალი ტყე ადამიანის თვალს უმალავდა მიწის სიმდიდრეს — ქვანახშირს. ასე იყო ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ. მაგრამ აი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც ის-ის იყო შლიდა მხრებს, დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების გეგმაზომიერი ათვისება. სამუშაო მიმდინარეობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითების საფუძველზე. 1921 წლის 14 აპრილს იგი ცნობილ წერილში „აზრებიჟანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს", წერდა: „...ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია". ლენინი მიუთითებდა დაუყოვნებლივ გაეშალათ ამ სიმდიდრეთა ათვისების სამუშაოები.

ლენინის ამ მითითების შემდეგ 1926 წელს ტყვარჩელში დაიწყო საძიებო სამუშაოები. მალე მდინარე ღალიგის შუა დინებაში გეოლოგებმა „შავი ოქროს" დიდი მარაგი აღმოაჩინეს. დაუყოვნებლივ დაიწყო პირველი შახტის მშენებლობა, პარალელურად მიმდინარეობდა 12-კილომეტრიანი საჰაერო საბადგირო გზის გაყვანა, რომელიც კარგა ხანს წარმოადგენდა აკარმარიდან კვეზანამდე ქვანახშირის ტრანსპორტირების ერთად ერთ საშუალებას.

1935 წელს ამუშავდა ინდუსტრიული ტყვარჩელის პირველი პირმშო — № 1 შახტი, ხოლო სამი წლის შემდეგ დაიწყო მეორე შახტის შტოლნის გაყვანა. სწორედ იმ ხანად სამრეწველო დენი გამოიმუშავა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურმა, უფრო მოგვიანებით კი საფუძველი ჩაეყარა ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკას, თანდათანობით ჩადგა მწყობრში მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე შახტები.

მთის ქალაქმა მთლიანად იცვალა სახე, უფრო კოლორიტული გაწდა მისი ინდუსტრიული პეიზაჟი. საჰაერო-საბადგირო გზასთან ერთად მადნის გამოსაზიდ დიდ საშუალებად იქცა ელექტროფიცირებული საოკინიგზო მაგისტრალი, გაფართოდა ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნები, აღიმართა საშენ მასალათა ქარხნის, რკინაბეტონის პოლიგრნის, ასფალტის ქარხნის კორპუსები, რესპუბლიკა განუწყვეტლივ იღებდა და იღებს ტყვარჩელის ქვანახშირს, ელექტროენერგიას, საშენ მასალებს... ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქალაქი ენერგიულად შრომობს, მხნედ მიაბიჯებს პროგრესის გზაზე.

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის შრომელთა მხარდამხარ შრომობენ ტყვარჩელელები — მეშახტეები, მძღოლები, ენერგეტიკოსები, რომლებმაც წარმატებით დაამავარეს გასული ხუთწლედი და აქტიურად ჩაებნენ სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრების შედეგებიც საამაყოა, ყველა ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია.

თავდადებული შრომის არაერთი მაგალითი აჩვენეს ტყვარჩელმა შრომელებმა. ზოგიერთი მათგანის სახელს დღეს მთელ რესპუბლიკაში იცნობენ. ასეთთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირი ლ. ტყებუჩავა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ცაბა, ვ. ჯინჯოლია, ე. რუდოი, გ. დემეტრაშვილი, რ. აჯბა, ა. ბარციცი, ნ. ბახტაძე და სხვები.

ახალი ხუთწლედის გეგმების შესრულებას რომ შეუდგნენ, ტყვარჩელელმა მშრომელებმა ზუსტად განსაზღვრეს თავიანთი ზღუდეები, ქალაქის მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მეცხრე ხუთწლედში არსებული რეზერვების სრულად გამოყენებით გადაწყვიტეს ქვანახშირის მოპოვება 5 მილიონ ტონამდე აიყვანონ, გამოუშვან 1.300 ათასი ტონა კონცენტრატი, 3.300 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ხუთწლედში ქალაქში აიგება დოლომიტის მაღაროგამამდიდრებელი ფაბრიკით, ავეჯის ფაბრიკა, სანატორიუმი-პროფილაქტორიუმი, სამკერვალო ფაბრიკა, კინოთეატრი საზაფხულო ესტრადით, რომელიც 1200 მაყურებელს დაიტევს, გაფართოდება სკოლების, სბავშვო ბაღებისა და ბავშვის ქსელი; აქაური შრომელები მიიღებენ 21 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. ეს დიდი ამოცანაა. მაგრამ ისინი მზად არიან გადალახონ ყველა სიძნელე; სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ახალ სიმაღლეზე აიყვანენ ახალგაზრდა ქალაქის სამრეწველო ბაზას, გაზრდიან ქვანახშირის მოპოვებას.

დიდი ბელადის ანდერძის ერთგული ჩვენი შრომელები კვლავინდებური ენთუზიაზმით განაგრძობენ შრომას ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

შ. შაკაია,

საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სიცოცხლის არხები

ელიდან გვიან საღამომდე არ წყდება ბეჯითი შრომით გამოწვეული საქმიანობა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. ტრესტ „ალაზანმშენის" სამუშაო ფრონტი ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში იწყება და მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ველ-მინდვრებს კვეთს გურჯაანის რაიონამდე. ეს მსოლოდ პირველი რიგის მშენებლობაა, რომელიც მეცხრე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს.

ფრთებს ისხამს გლეხთა საუკუნოვანი ოცნება. სულ უფრო თვალსაჩინოდ ისახება „სიუხვის არხის" კონტურები, სწრაფი ტემპით შენდება გვირაბები, დიუკერები და გალერიები. ყოველდღიურად მიიწევს წინ თვით მაგისტრალური არხი.

ტრესტ „ალაზანმშენის" სამმართველოების შორის ერთ-ერთი დიდია ჩვენი სამმართველო, რომელიც № 1 სამმართველოს სახელს ატარებს (სამმართველოს უფროსი გ. წერეთელი). იგი სამუშაოებს თელავის რაიონის ტერიტორიაზე აწარმოებს და სისტემატურად გრაფიკის გასწრებით მუშაობს. მარშან 2 მილიონ 453.600 მანეთის დავალება შესრულდა, რაც წლიური გეგმის 103,9 პროცენტს შეადგენს.

ჩვენი სამმართველოს მშრომელებმა მაღალი ტემპი აიღეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისიდან. სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე პირველი კვარტალის დავალება 15 მარტისათვის გავანაღდეთ და ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით შევასრულეთ 165.000 მანეთის სამუშაოები. კვარტალური გეგმა კი 131,5 პროცენტით განაღდდა.

„სიუხვის არხის" მშენებლებმა პარტიის XXIV ყრილობის გახსნას მიუძღვნეს ხელოვნური დაწვიმებისა და სარწყავი ქსელის ერთ-ერთი უბნის მშენებლობის დამთავრება, რომელიც თელავის რაიონის ტერიტორიაზე წელსვე მორწყავს 300 ჰექტარ ვენახისა და ხეხილის ბაღებს.

სამმართველოს მშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. ახლა ყოველდღიურად გაცილებით მეტი სამუშაოები სრულდება, ვიდრე წინა თვეებში სრულდებოდა. ბევრი მექანიზატორი, შებეტონე და რიგითი მუშა უკვე მაისის ანგარიშში მუშაობს და თავისი წვლილი შეაქვს დიდ მიზანდასახულობათა განხორციელებაში. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი დიდი ლენინის ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ნ. გვარამაძე,

ტრესტ „ალაზანმშენის" № 1 სამმართველოს მთავარი ინჟინერი.



სურათზე: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის საერთო ხედი.

ფოტო ს. თევზაძისა, (საქდისის ფოტოკრონიკა).

შავი ქალაქის გაგაფხული

ჭიათურა, მისი მუშათა კლასის საქმიანობა და რევოლუციური გატაცება მუდამ აინტერესებდა ვლადიმერ ილიას-ძეს. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ დღეებში გამოჩენილი რევოლუციონერი მ. ცხაკაია სწერდა ვ. ი. ლენინს ჭიათურის პროლეტარიატის დარაზმულობა-შემჭიდროებასა, რევოლუციურ განწყობილებასა და ბოლშევიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულებაზე. დიდი ლენინი აღფრთოვანებული იყო მაღაროელთა საქმიანობის ჯამი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ჭიათურის მარგანეცის საბადოს და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ამ მხრივ საინტერესოა დიდი ბელადის ერთგული მეგობრისა და თანამებრძოლის ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მოგონება. იგი წერს: „როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კავკასიის შესახებ, ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მარგანეცის დამუშავებას ჭიათურაში. უწინასწარმეტყველებდა მას დიდ მომავალს"...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დიდი ბერლადი მოუწოდებდა ქართველ კომუნისტებს გადაჭრით ეზრუნათ ჭიათურის მარგანეცის უდიდესი საბადოს სწრაფად აღდგენა-განვითარებისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მთლიანად მიიღო და გაჩანაგებული მიიღო. მაღაროებში თითქმის ჩამკვდარი იყო მუშაობა. არავინ ფიქრობდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე. უდღეური მენშევიკების ბატონობის პერიოდში ყველთრად დაეცა მადნის გამოღება. ამას ეფარებიც ნათელყოფს. იმხანად სამ წელიწადში აქ გამოიღეს 92.800 ტონა მარგანეცი. 1920 წელს კი მხოლოდ 12.100 ტონა. მერვე ხუთწლედში ჭიათურელმა მაღაროელებმა სამშობლოს მისცეს 572 ათასი ტონა ზეგეგმითი სასაქონლო მადანი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 3.041 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მარტო დიმიტროვის სახელობის მაღაროს მადნის ელექტრომტვრევრთადი მანქანის მემანქანემ, სოციალისტური შრომის გმირმა ჯ. ჯოგაბაშვილმა მერვე ხუთწლედში გამოიღო და დატვირთა 108.235 ტონა მადანი, იმაზე მეცრად მეტი, რაც მენშევიკებმა სამ წელიწადში გამოიღეს.

მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ჭიათურის საბადო 1925 წელს საკონცესიოდ გადაეცა ამერიკელ ბარიმანს, რომელიც მხოლოდ მოგებით იყო გატაცებული. მან არ შეასრულა ხელშეკრულება მაღაროებში ახალი ტექნიკის დანერგვის შესახებ. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ ამერიკელ კონცესიონერთან ხელშეკრულება გაუქმა. 1928 წლის აგვისტოდან შეიქმნა ჭიათურის მარგანეტრესტი. და სწორედ აქედან დაიწყო ჭიათურის საბადოს ნამდვილი აღორძინება. ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელებით, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით ჭიათურა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო-ინდუსტრიული ცენტრი გახდა.

ლენინური წინასწარხედვის ხორციშესხმაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა ახალი მაღაროები და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი სამამული ტექნიკით. სამუშაო პროცესები მექანიზებულია 79,2 პროცენტით. თითქმის მთლიანად მექანიზებულია ლენინისა და დიმიტროვის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროები. ავტომატური მართვა დაინერგა ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროების მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში, ლენინის სახელობის მაღაროს მიწისქვეშა ხალმავალო ტრანსპორტზე. მექანიზმები ავტომატურად იზეთება ლენინის, დიმიტროვის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროების მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში. საწარმოო ტელევიზია დამკვიდრდა ლენინისა და კალინინის სახელობის მაღაროების მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში, ცენტრალურ ელექტრომეკანიკურ სახელოსნოში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არავინ არ ზრუნავდა მუშათა ბინებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე. ახლა მარტო მარგანტრესტის განკარგულებაშია 119.857 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ქალაქი დაამშვენა ოთხ-ხუთ და რვასართულიანმა სახლებმა. აშენდა კეთილმოწყობილი სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები. მაღაროელთა ქალაქის მშვენება და სიამაყეა აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი, კულტურის სასახლე, ბევრი საყოფაცხოვრებო ნაგებობა.

ჭიათურას საჰაერო საბადგირო გზების ქალაქსაც ეძახიან. აქ მუშაობს ორმოცდაათამდე საბადგირო გზა. საბჭოთა კავშირში პირველად ჭიათურელებმა აიგეს სახაღლო საბადგირო გზა. მსოფლიოს ვერც ერთ ქალაქში ვერ ნახავთ ამდენ და ისიც სხვადასხვა კონსტრუქციის საბადგირო გზას.

ახალი საზოგადოების გამარჯვებისათვის ვ. ი. ლენინს გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მასების შემოქმედებითი ძალების გამოვლინება, ადამიანთა შრომითი ენთუზიაზმის აზვირთება, კომუნისტური შრომა, დისციპლინა და ერთსულოვანი დარაზმულობა.

ლენინური იდეებით შთაგონებული მაღაროელები შრომითს სასწაულებს ანდეკნენ. ახლა მაღაროებში კომუნისტური შრომის 145 ცვლა და ბრიგადა, კომუნისტური შრომის 3.551 დამკვრელია. ამ საპატიო წოდებისათვის იბრძვის ათასობით მუშა, ცვლა, უბანი, ბრიგადა. მარგანეცის მრეწველობაში ამჟამად 1.569 რაციონალიზატორ-გამომგონებელია. გამჭრიახი ანრის ადამიანებმა მერვე ხუთწლედის ფონდში ხუთ მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს. წარმოების ნოვატორები ვაუკაცური შემართებით ძლევენ მეცხრე ხუთწლედის ზღუდეებს.

ავსებენთ სამართლიანად გვაამაყებს, რომ საბჭოთა საქართველოს საწარმოებში ჭიათურის მარგანეცის ტრესტი პირველი იყო, დიდი ლენინის ორდენი რომ დაიმსახურა.

ასევე მაღაროელი და ინჟინერი ალ. ლეონიძე, ოქტომბრელ მაღაროელებს, ტ. ფოფხაძეს, ბ. გოგატიშვილს და ტრესტის მმართველს ლ. ბოშტოიანეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ. ჭიათურაში შრომობს და იღვწის ბევრი კეთილსინდისიერი მაღაროელი, ნიჭიერი სპეციალისტი.

ყველაფერი ეს ლენინური ბრძნული წინასწარმეტყველების ძალაა, საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელობის, მაღაროელთა მადლიანი და შეუპოვარი შრომის ნაყოფია.

მშობიერი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მაღაროელები ლენინური იდეების შუდამ ერთგულნი იქნებიან. თავდადებულად იშრომებენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღირსეულად ეზეიმებიან ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ ზეიმს, სამშობლოს არ მოაკლებენ ძვირფას მადანს, რაც ესოდენ საჭიროა საბჭოთა ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

მ. აფაქიძე.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი.



მარგანეცის ქალაქის — ჭიათურის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდისის ფოტოკრონიკა).

მადნეულის მადნეული

მადნეული. (საკ. კორ.). საქართველოს მდიდარია წიაღისეულით. ამ მადლიანი მიწის გულში რას არ ნახავთ. ჩვენი მარგანეცი დიდი ხანია კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, ქაროული მარმარილოთი და მოსაპირკეთებელი ქვებით დამშვენებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქების დიდი არქიტექტურული ნაგებობანი.

მაგრამ ბევრი ძვირფასი წიაღისეული ჯერ როდია ნაპოვნი და ხალხის სამსახურში ჩაყენებული. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა საძიებო სამუშაოები, აღმოჩენილია ბევრი ძვირფასი მადნეული. მათ შორის აღსანიშნავია ბოლნისის რაიონის კაზრეთის მიდამოების წიაღისეული სიმდიდრეები. აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია სპილენძი, თუთია, ტყვია, ბარიტი და სხვა.

ამ სიმდიდრეთა დამუშავებისათვის რამდენიმე წლის წინათ დაიწყო ქალაქ მადნეულისა და სპილენძის გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ამ მნიშვნელოვანი ობიექტის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ჩაწერილია: **ახალ ხუთწლედში საქართველოში დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა.**

დღეისათვის კომბინატის მშენებლობაზე დახარჯულია 30 მილიონი მანეთი. საწარმოს პირველი რიგი ამუშავებულ უნდა იქნას 1973 წელს, ხოლო მეორე რიგი — 1975 წელს.

> **დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა.**
>
> სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან.

კომბინატის მშენებლობა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ფერადი მეტალურგიის ეს გიგანტი ვადაზე ჩადგეს მწყობრში.

მშენებლობის პარალელურად კომბინატის კოლექტივი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტთან, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და ლენინგრადის ინსტიტუტ „გიპრონიკელთან" ერთად აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს სპილენძის ფხვნილის მისაღებად. პირველი წარმატება მოპოვებულია. საცდელ წარმოებაში ლაბორატორიული წესით მიღებულია სპილენძის ფხვნილი, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტს. ეს ფაქტი იმაზე მეთუთიანებს, რომ მადნეულში უნდა აშენდეს არა მარტო სპილენძის გამამდიდრებელი კომბინატი, არამედ აქვე უნდა აშენდეს სპილენძის კონცენტრატიდან სპილენძის მომღები საწარმოც.

ახლა, როცა მიღწეულია გარკვეული წარმატებები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მადნეული ჩვენი რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ცენტრი იქნება. ფერადი მეტალურგიის განვითარება კი დიდ შესაძლებლობას იძლევა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

უკაცრიელ ველზე გაშენდა ლამაზი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. გადაწყვეტილია აქ აშენდეს ქალაქი 25 ათასი მცხოვრებისათვის. შემდეგ კი მოსახლეობა გათვალისწინებულია 100 ათას კაცამდე გაიზარდოს.

მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატისა და ქალაქის მშენებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი გულდასმით ეცნობა სკკპ XXIV ყრილობის მასალებს და ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ვადამდე ჩააყენოს მწყობრში საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშო.

ამხანაგი ილია

ი. ბ. წივწივაძის დაბადების 90 წლისთავის გამო

მაქსიმ ბორკის აქვს გამონათქვამი, რომელიც მისი მრავალი წლის დაკვირვებათა დასკვნად შეგვიძლია მივიჩნიოთ. „მთელი სიცოცხლის მანძილზე, — წერდა იგი, — ნამდვილ გმირებად მიმაჩნდა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც უყვართ შრომა და შეუძლიათ იშრომონ, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის მთელი ძალ-ღონე გაათავისუფლონ შემოქმედებისათვის, ჩვენი ცხოვრების დასამშვენებლად, ისეთი ცხოვრების შესაქმნელად, როგორიც ადამიანს ეკადრება".

სწორედ ასეთი იყო ილია ბენედიქტეს ძე წივწივაძე. ბრგე, ღონიერი კაცი, ტიპიური ქართული სახე და დაკვირვებული და მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. პროფესიულმა რევოლუციონერმა გადაიტანა არალეგალური მუშაობის, საპყრობილეების, შიმშილობის, გადასახლების ყველა სიძნელე, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა სულიერი სიჭაბუკე, სიხალისე და ძალა.

ასე იცნობდნენ მოსკოველი და ქართველი ბოლშევიკები პარტიის წევრს 1903 წლიდან ი. წივწივაძეს. 1917 წლის პარტიული დოკუმენტები ეოტა შემოგვრჩა. მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის სხდომათა ოქმებში მას „ამხანაგი ილიას" უწოდებენ. მაგალითად, რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ბლანკზე ვ. ი. ლენინმა „ამხ. ილიას" მისწერა ბარათი, რომელშიც რეკომენდაციას უწევდა პარტიის უხუცეს წევრს თ. ი. ბოდროვს.

ლარიბი გლეხის შვილი ილია წივწივაძე ქუთაისის გუბერნიის დაბა ხონში დაიბადა 1881 წლის 20 მარტს. იგი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში. 1902 წელს რევოლუციური გამოსვლების ორგანიზაციისათვის ილია სემინარიიდან გარიცხეს, დაუპატიმრეს და ეტაპით გაგზავნეს მშობლიურ სოფელში. შემდგომში ილია მუშაობდა ბათუმში, სადაც ხელმძღვანელობდა პარტიის ბათუმის კომიტეტის არალეგალურ სტამბას. 1904 წლის აპრილში სტამბა დაარბიეს, მაგრამ ილიამ გაქცევა მოახერხა.

რამდენიმე ხნის შემდეგ წინწივაძემ მოაწყო პარტიის თბილისის კომიტეტის არალეგალური სტამბა. 1904 წლის შემოდგომაზე იგი დაუპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. აქ მან დიდი ხნის შიმშილობა გამოაცხადა. 1906 წლის ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ი. წივწივაძე გაათავისუფლეს. დაუცხრომელი რევოლუციონერი კვლავ მონაწილეობს ამბერკავკასიის მებრძოლი რაზმეულების შექმნასა და მათს საბრძოლო მოქმედებაში. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს წივწივაძე პარტიის ქუთაისის, შემდეგ კი თბილისის ორგანიზაციების პროპაგანდისტი-ორგანიზატორია, პარტიის დავალებით იგი ბოლშევიკური „დროს" ოფიციალური რედაქტორი ხდება.

მეფის ჟანდარმების მუდმივმა დევნამ, მისწრაფებამ თავგზა აბნია ჯამუშებისათვის აიძულეს ამხანაგი ილია დროებით შეეწყვიტა რევოლუციური მოღვაწეობა კავკასიაში და გადასულიყო მოსკოვში, სადაც შევიდა შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში. 1911 წელს მოსკოვში იგი დაუკავშირდა ბოლშევიკურ ჯგუფს და მოაწყო არალეგალური სტამბა. ბოლშევიკების საერთო საქალაქო კონფერენციის მომზადების დროს ილია პროვოკატორმა გასცა და 1915 წლის 6 ივნისს იგი კვლავ დაუპატიმრეს და ხუთი წლით გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც მას თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო.

მოსკოვში დაბრუნებისას ილია აირჩიეს პარტიის მოსკოვის კომიტეტის ბიუროს წევრად და ზამოსკვორეჩიეს რაიკომის პასუხისმგებელ ორგანიზატორად. აქ მან გაშალა დიდი მუშაობა მუშათა და გლეხთა მასების გადმოსაბირებლად ბოლშევიკების მხარეზე და სოციალისტური რევოლუციისათვის მოსამზადებლად. ამ პერიოდში იგი გაათხრებით იბრძვის შემთანხმებლების — მენშევიკებისა და ესერების აგრეთვე „თავისუფლების სესხის" მათი კამპანიის წინააღმდეგ.

ი. წივწივაძე მთავარ ყურადღებას აქცევდა ზამოსკვორეჩიეს ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებას. 1917 წლის 13 მაისს მისი თავმჯდომარეობით გაიმართა პარტიის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის სხდომა.

ი. წივწივაძის ინიციატივით 10 აგვისტოს რსდმპ (ბ) მოსკოვის საერთო საქალაქო კონფერენციამ მოაწყო გაფიცვა სახელმწიფო თათბირის მოწვევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც დროებითმა მთავრობამ მოსკოვში მოიწვია. თათბირის გახსნის დღეს ზამოსკვორეჩიეში მუშაობა შეწყვიტა ოცდაათამდე დიდმა საწარმომ. სულ მოსკოვში გაიფიცა 400 ათასზე მეტი მუშა. მოსკოვის რაიონული სათათბიროების არჩევნების დროს პარტიის ზამოსკვორეჩიეს რაიკომმა ი. წივწივაძის ხელმძღვანელობით გაშალა დიდი საგეტაციო პროპაგანდისტული მუშაობა საწარმოებში, საერთო საცხოვრებლებში, კერძო ბინებში. ბოლშევიკებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს რაიონის ორივე სათათბიროში — კალუგისა და პიატნიცკის სათათბიროებში, ხოლო მთელ მოსკოვში ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღეს ჩვიდმეტიდან თერთმეტ რაიონულ სათათბიროში.

წივწივაძემ სულითა და გულით მოიწონა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილება, რომ დაწყებულიყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. იგი ინსტრუქტაჟს უწევს საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს წეთელი გვარდიის შექმნის საკითხში, ეხმარება მუშათა სამხედრო სწავლებაში. 1 სექტემბერს პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მიმდინარე მომენტის საკითხს მიეძღვნა, წივწივაძემ თქვა: „აუცილებლად საჭიროა საყოველთაო შეიარაღება და რაზმების შექმნა იქ, სადაც უკვე გვაქვს იარაღი... უნდა ვიმოქმედოთ რევოლუციურად, და არა კანონის საფუძველზე, რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა".

პარტიის მოსკოვის კომიტეტის 22 ოქტომბრის სხდომამ დაამტკიცა კომიტეტის სამდივნო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მ. თ. ვლადიმირსკი, ი. ბ. წივწივაძე და ო. ა. პიატნიცკი.

პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ, 25 ოქტომბრის დილით, მოსკოვში გაიმართა მოსკოვის კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საბჭოს საბრძოლო ცენტრის საკითხი. სხდომაზე ი. წივწივაძემ ხაზგასმით აღნიშნა, „უწინარეს ყოვლისა საჭიროა ჯარისკაცთა კომიტეტის ხელახალი არჩევნები, რათა უმრავლესობა გავიანაღლოთ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში". თავისი წინადადება მან ასე დასაბუთა: „საბრძოლო ცენტრის მოწყობის კამჰანისთან ერთად უნდა ვაწარმოოთ კამპანია ხელახალი არჩევნებისათვის. სხვა ცენტრის მოწყობა შეუძლებელია, ძალები უნდა დავარაზმოთ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გარშემო".

28 ოქტომბრის გაიმართა ჯარისკაცთა დეპუტატების ასეულების კომიტეტების საგანგებო კრებები, რომელმაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ესერულ-მენშევიკური აღმასკომი რევოლუციის მოღალატედ გამოაცხადა. ჯარისკაცთა დეპუტატების ახალმა დროებითმა აღმასკომმა განაცხადა, რომ „მხარს დაუჭერს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს და შეასრულებს მხოლოდ მის განკარგულებებს". ეს იყო ბოლშევიკების პოლიტიკის დიდი წარმატება, რომელმაც გააადვილა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება მოსკოვში.

ზამოსკვორეჩიეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ბრძანებებს ხელს აწერდნენ პ. კ. შტერნბერგი, ბ. ბ. ვოლინი, და ი. ბ. წივწივაძე. ამხანაგი ილია არა მარტო წყვეტდა აჯანყებასთან დაკავშირებულ პარტიულ საკითხებს, არამედ აგრეთვე მონაწილეობდა კომიტეტის ოპერატიულ საქმიანობაშიც. იგი ხელს აწერს მთელ რიგ განკარგულებებს, მათ შორის 1917 წლის 3 ნოემბრის „საბრძოლო ბრძანებას", რომელშიც ნათქვამია: „კრემლში ჩვენი ჯარებია. შეწყვიტეთ სროლა".

ყირიმის ხიდთან განლაგებულმა ბატარეამ შესრულა ეს ბრძანება.

ოქტომბრის ბრძოლების დღეებში ილია წივწივაძე ცეცხლის მოწინავე ხაზზე იყო, უშეალოდ ხელმძღვანელობდა წითელგვარდიელთა საბრძოლო ოპერაციებს ოსტოჟენკაზე (ახლა მეტროსტროევსკაიას ქუჩა). ძნელ წუთებში წივწივაძე ყოველთვის საუკეთესო გამოსავალს პოულობდა. მაგალითად, ერთხელ ოსტოჟენკაზე ბრძოლის ერთ-ერთ უბანზე იუნკერების ძლიერი ცეცხლი აფერხებდა წითელგვარდიელთა წინსვლას. ი. ბ. წივწივაძემ მეთაურს ურჩია წითელგვარდიელთა ჯგუფი გაეგზავნა საფეიერო ფაბრიკაში, იქიდან გამოეტანათ ბამბის ფუთები და ამოფარებოდნენ მათ. ასეც ქნეს. მტერი იძულებული გახდა დაეტოვებინა პოზიციები, ხოლო წითელ გვარდიას ზარალი არ მოსვლია.

როცა გამოირკვა, რომ წითელი გვარდიის რაზმები სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არიან სამედიცინო დახმარებით, ი. წივწივაძის მითითებით კომუნისტი ქალები დარაზმეს სანიტარული სამსახურისათვის. წივწივაძე ზრუნავდა აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგისათვის, წითელგვარდიელებს სთხოვდა, რომ დაუნდობლად ჩაეხშოთ ბანდიტებისა და შავრაზმელების გამოხდომები.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ი. ბ. წივწივაძე მუშაობდა მოსკოვის საქალაქო საბჭოს საქმეთა მმართველად, მოსკოვის საქალაქო საბჭოს კრებადიუმის წევრად და ეროვნულ უმცირესობათა განყოფილების გამგედ, მოსკოვის საბჭოს საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარედ და მოსკოვის რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარედ.

მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე ი. წივწივაძე ებრძოდა კონტრრევოლუციასა და მესაბოტაჟეებს მოსკოვში, იცავდა დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს. ამ პერიოდში იგი, როგორც მოსკოვის კომიტეტის ბიუროსა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოების V, VI, VII ყრილობების და პარტიის VIII და IX ყრილობების დელეგატი, რამდენჯერმე შეხვედრია ვლადიმერ ილიას ან ლენინს. ამ შეხვედრებმა წარეშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე.

საზღვარგარეთი ეხმაურება სკკპ XXIV ყრილობას

მშვიდობის, პროგრესის, ალმშენებლობის პროგრამა

დედამიწის ყველა კუთხიდან კვლავ მოდის გამოხმაურებათა ნაკადი სკკპ XXIV ყრილობის გამო, რაც ალსტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტების უმაღლესი ფორუმის საერთაშორისო მნიშვნელობას. ბევრი კომენტარი კვლავ ეხება მშვიდობისა და საერთაშორისო თანაშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაზრდილ პრობლემას, რომელიც დასახულია საანგარიშო მოხსენებაში. ამ პრობლემას მხურვალედ უჭერს მხარს მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობა.

□ ჩეხოსლოვაკია. სკკპ XXIV ყრილობამ კვლავ მიაპყრო მთელი მსოფლიოს ადამიანთა მზერა მოსკოვისადმი, განაცხადა საკდესის კოოპერაციულ დეპარტამენტთან საუბარში პროფესორმა, ძრაღის კარლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანმა ვ. ბალაშმა. მე ვიტყოდი, რომ ამ ყრილობის დროშაზე წარწერილი იყო კატეგორიობისათვის ორი უმნიშვნელოვანესი მოწოდება-მშვიდობა და შრომა. სწორედ ეს სიტყვები, როგორც მე მიმაჩნია, ყველაზე უკეთ ახასიათებს იმას, რაზედაც ამ დღეებში ლაპარაკი იყო კრემლის ყრილობათა სასახლეში.

□ საფრანგეთი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყოველკვირეული „ლუმანიტე დიმანში“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობს სკკპ XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მასალებს. XXIV ყრილობა, აღნიშნავს ყოველკვირეული სპეციალური კორესპონდენტი, „მოასწავებს გადასვლას ახალ საფეხურზე კომუნიზმის მშენებლობაში“. ყრილობის ყურადღების ცენტრში, წერს შემდეგ ავტორი, იყო საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საკითხი. ამასთანავე გაგრძელდება წარმოების მოდერნიზაციის, მეცნიერული კვლევის გაფართოებისა და ეკონომიკის განმტკიცების პროცესი.

□ ამერიკის შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის გაზეთები კვლავ აქცეყნებენ მასალებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახლახან დამთავრებული XXIV ყრილობის შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, კერძოდ, წერს: „სანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მთავარი ყურადღება დაეთმო საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებასა და მათ მტკიცე გადაწყვეტილებას — შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა.

„ის წინადადებანი და იდეები, რომლებიც ბრეჟნევმა წამოაყენა ყრილობაზე, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — ბევრი აკეთური დიპლომატის აზრით, შესწავლის ღირსია“. გაზეთი აღიარებს, რომ სსრ კავშირის ეკონომიური პოლიტიკა გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანებისათვის ზრუნვით.

„ვაშინგტონ პოსტი“, რომელიც იმოწმებს მაღალი თანამდებობის ოფიციალურ წრეებს, აღნიშნავს „თავშეკავებული ოპტიმიზმის გამოხატულებას XXIV ყრილობაზე ჩამოყალიბებული საგარეო-პოლიტიკური პოზიციის მიმართ“. იმეველებს რა იმავე წრეებს, გაზეთი აცხადებს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „გამოხატავს მისწრაფებას მსოფლიოში არსებული დაძაბულობის შენელებისადმი“.

□ ინდოეთი. მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის წრეებთან დაახლოებული გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად ხმარობს ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

გაზეთი „პეტრიოტი“, კომენტარს უძღვნის რა სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ ეკონომიურ პროგრამას, ხაზს უსვამს, რომ იგი გამიზნულია მისწრაფებით „მაღალეთ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის სწრაფ ამაღლებას“.

□ ნიგერია. დიდი სათაურით „ხუთწლედი შესრულებულია — წინ არის ახალი პროგრამა“ — გამოქვეყნიანი გაზეთი „ნიგერიენ ტრიბუნი“ ვრცელ კომენტარს უძღვნის სკკპ XXIV ყრილობის მუშაობის შედეგებს. მეოთხე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის ყველა დარგში, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაში. კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები დასახა სკკპ XXIV ყრილობამ, რომელმაც დაამტკიცა მორიგი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები.

(სკკპ-ს, 13 აპრილი).

მსოფლიოს ამბები

● ჰავანაში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის შეთანხმებას 1971-1972 წლებში ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერებათა დარგში თანამშრომლობის შესახებ.

● ბოლივიის ოთხმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გამოაცხადა, რომ აპირებს შექმნას ახალი პარტია — ბოლივიის სოციალისტური პარტია და 28 აპრილიდან 1 მაისამდე გამართოს მისი დამფუძნებელი ყრილობა.

● დასავლეთ ბერლინის სასამართლომ სავსებით გაამართალა ბერლინის ვეტერანთა ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი, სს-ის შტურმბანფიურერი ვენტერი და ბერლინელი ებრაელი გრაუტმანი, რომლებიც მონაწილეობდნენ უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ ხოცვა-ყლეტაში ომის დროს.

● ტეხასის შტატში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს საფრთხე მოელით ხანგრძლივი გვალვის შედეგად. იმის გამო, რომ ნიადაგს აკლია ტენი, დღემდე არ აღმოცენებულა ბორბალი. ფერმერები ახლავე ჩქარობენ გაყიდონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რადგან 1956 წლის დიდი გვალვის დროს ბევრი მათგანი გაკოტრდა, რადგან ვერ უშოვა საკვები პირუტყვს. ტეხასის გუბერნატორმა პ. სმიტმა შტატის 60 ოლქი „უბედურების რაიონად“ გამოაცხადა და პრეზიდენტს დახმარება სთხოვა.

● საფრანგეთის პატარა ქალაქ სენ-მაკერ-ან-მოუში ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშის რივალის ოჯახში ამ რამდენიმე დღის წინათ იდღესასწაულეს 22-ე ბავშვის დაბადება. ახლა ორმოცდაექვსი წლის რივალს 15 ვაჟი და 7 ქალიშვილი ჰყავს.

● მეშვიდე დღეა კუნძულ სიცილიაზე გრძელდება ვულკან ეტნის ამოფრქვევა. მეცნიერთა გამოანგარიშებით ამ პერიოდში კრატერიდან ამოსროლილია 40 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გავარვარებული ლავა, რომელიც რამდენიმე ნაკადად ეშვება ქვემოთ.

● ოფიციალური წინასწარი მონაცემებით, ამასწინანდელი აღწერის მიხედვით, ინდოეთის მოსახლეობა შეადგენს 547 მილიონ კაცს.

საკდესი-ფრანს პრესი.



ფაქტები

ოკეანეს გაღაცურავენ ვიკინგთა ხომალდით

ოსლო. (საკდესი). ბერგენში მთავრდება მზადება, რათა გაამგზავრონ კიდევ ერთი „სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია“ ვიკინგთა დროინდელი ხომალდების მსგავსად აგებული გემით.

ინტერნაციონალურ რაზმს, რომლის შემადგენლობაში 15 კაცია, გადაწყვეტილი აქვს გადაცუროს ნორვეგიის ზღვა და ატლანტის ოკეანე და მიადწიოს საბოლოო პუნქტს — ნიუ-იორკს. ექსპედიციის მონაწილეებს სურთ დაადასტურონ, რომ მამაცმა ზღვაოსნებმა — ვიკინგებმა ქრისტეფორე კოლუმბზე თითქმის 500 წლით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა.

რაზმის ხელმძღვანელია სტოკჰოლმელი იახტსმენი და ისტორიკოსი ლეიფ-ერიკ ნიუგარდსი.

ექსპედიციის მონაწილეებს სურთ გაიარონ რამდენიმე ათასი კილომეტრი, ამასთან გამოიყენონ მხოლოდ ვიკინგთა დროინდელი საშუალებანი. მაგალითად, ისინი გზაში ჭამენ მხოლოდ შაშხს, თევზსა და ხორბალს.

საქართველოს ქალაქ-პატრიოტთა ნარმატებანი

18 აპრილი. (საკდესი). მიმდინარე წლის პირველი სამი თვის მანძილზე შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა მთლიანად ჩაფუშეს სამხრეთ ლაოსის ტერიტორიაზე შექრის ამერიკა-საიგონის ჯარების დანაშაულებრივი ოპერაცია, რომელშიც 45 ათასზე მეტი ჯარისკაცი მონაწილეობდა.

განთავისუფლების პრესის სააგენტო იმოწმებს კაოსან პატეტლაოს სააგენტოს და სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყება, რომ ამ ხნის მანძილზე ლაოსელმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 22.400 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 500-მდე ამერიკელი.

ჩამოაგდეს, ეიროდრომებსა და დასაჯდომ მოედნებზე მოსპეს ამერიკის სამხედრო-საპაერო ძალების 560-ზე მეტი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, გაანადგურეს ან დააზიანეს 660-მდე სამხედრო მანქანა, მათ შორის ნახევარზე მეტი ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. პატრიოტებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა ტიპის დიდძალი სასროლი იარაღი.

სისხლიანი კვირა ოლსტერში

ლონდონი

13 აპრილი. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის სიდიდით მეორე ქალაქი ლონდონდერი ინგლისის ჯარებმა პრაქტიკულად მოწყვიტეს ქვეყნის დანარჩენ ნაწილს. 1.500-მდე ინგლისელმა ჯარისკაცებმა მთლიანად ჩაკეტეს ლონდონდერის ყველა მისასვლელი, გულდასმით ჩხრეკს ქალაქში შესულ და გამოსულ ყველა ავტომანქანას.

ხელისუფალთა ასეთი მოქმედების მიზეზი გახდა გუშინდელი შეტაკებანი ქალაქ ბოგსაიდის კათოლიკურ რაიონში. ამ შეტაკებების დროს დაშავდა 16 კაცი, მათ შორის ინგლისელი ჯარისკაცები და ოლსტერელი პოლიციელები.

მდელვარების ჩასახშობად ჯარებმა გამოიყენეს ეგრეთწოდებული „რეზინის ტყვიები“. პასუხად დემონსტრანტებმა ქვა დაუშინეს ჯარისკაცებსა და პოლიციელებს. ბევრი ხალხი დაჰაპტიმრეს. დემონსტრანტებისა და ჯარების შეტაკებანი მოხდა აგრეთვე ქალაქ ლურგანში, რომელთა შედეგად დაშავდა ექვსკაცი.

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ვითარება ჩრდილოეთ ირლანდიაში კვლავ უკიდურესობამდე გაძაბულა. ოლსტერელი უფლებრივ ლიდერებმა ისარგებლეს საღამოს დღესასწაულით და აშკარა პროვოკაციული მიზნით გადაწყვეტეს გამოეყენათ ქუჩებში თავიანთ მომხრეთა ჯგუფები.

ბელფასტში, ლონდონდერსა და სხვა ქალაქებში განუწყვეტლივ დაფრინავენ ინგლისის არმიის ვერტმფრინავები, რომლებიც, უკანასკნელი მონაცემებით, ამას წინათ აღმოაჩინეს ტყვიამფრქვეველები.

პროგრესული ძალების ტოკიო გამარჯვება

18 აპრილი. (საკდესი). იაპონიის პროგრესულმა ძალებმა კვლავ დიდი გამარჯვება მოიპოვეს მუნიციპალურ არჩევნებში. არჩევნების შედეგად იაპონიის ორი დიდი ქალაქი — ტოკიოსა და ოსაკის გუბერნატორებად არჩეული არიან პროგრესული ძალების ერთიანი ფრონტის კანდიდატები.

არჩევნებში დიდი წარმატება მოიპოვა იაპონიის კომპარტიამ. იაპონიის კომუნისტური პარტიისაგან პრეფექტურების კრებებში არჩეულია სულ 105 დეპუტატი, სამჯერ მეტი, ვიდრე წინა მოწვევის კრებებში იყო. ქალაქ ტოკიოს მუნიციპალურ კრებაში არჩეულია 18 კომუნისტი დეპუტატი, ქალაქ ოსაკისა — 13, კობესი — 10, ნაგოისა — 6, იოკაპამისა — 5 და სხვ.

ტოკიოს რაიონულ კრებებში არჩეულია ყველა 128 კანდიდატი, რომლებიც კენჭს იყრიდნენ იაპონიის კომუნისტური პარტიის სიით.

პრეზიდენტზე თავდასხმის ცდა

ბონი

12 აპრილი. (საკდესი). ბონში გამოაცხადეს, რომ იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტზე გუსტავ ჰაინემანზე თავდასხმის ცდა.

დამნაშავე, 20 წლის კ. ეგერტი 8 აპრილს საღამოს შეეცადა შეეღწია პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაში, მაგრამ მცველებმა დააკავეს.

პოლიციის ცნობით, ეგერტმა დაპატიმრების შემდეგ განაცხადა, რომ იყო ნეონაციონალური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და დღემდე „დაახლოებულია ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან“. ეგერტმა აღიარა, რომ აპირებდა პრეზიდენტ გ. ჰაინემანის მოკვლას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

დაკავების დროს მას აღმოაჩნდა დანა, ბინოკლი ჰიტლერის ფოტოსურათი და პლაკატი, რომელიც მოუწოდებს აღადგინონ ფაშისტური ნაციონალ-სოციალისტური პარტია.



„ კოსმოსის“ ოლიმპიადა

მოსკოვი. შეჯამდა პირველი სრულიად საკავშირო კონკურსის „კოსმოსის“ შედეგები, რომელიც მოეწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ ინიციატივით ი. ა. გაგარინის გაფრენის 10 წლისთავის აღსანიშნავად. სხვადასხვა ქალაქის ოცდაათზე მეტი კოლექტივი მონაწილეობდა ამ კონკურსში. მათ წარადგინეს ასზე მეტი კოსმოსური მოდელი და მაკეტი.

აი საუკეთესონიც. მომავლის ტურისტული მთვარემავალი. მისი ავტორია თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მეზუთეკლასელი **გენადი საყვარელიძე,** რომელმაც მიიღო პირველი პრაზი ინდივიდუალურ სამუშაოთა შესრულებისათვის. უდმურტეთის ასსრ ქალაქ გლაზოვის № 3 საშუალო სკოლის ფიზიკა-ტექნიკის წრეში დამზადებულ კოსმოსურ ხომალდ „ზოდიაკს“ მიენიჭა კოსმონავტთა პრიზი — ბაიკონურის მიწიანი ამპულა. მომავლის მთვარედრომის პროექტს, რომელიც **ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის პიონერთა სახლის მოსწავლეებმა** დაამზადეს, მიენიჭა კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის პრიზი. მოსკოვის ოლქის ქალაქ შჩოლკოვოს ნორჩ ტექნიკოსთა მიერ შესრულებულ კოსმოსური ხომალდების გასაშვებ სასტარტო დანადგარს მიენიჭა ქალაქ ფიტიმორის ს. პ. კოროლიოვის სახლმუზეუმის პრიზი.

სამახსოვრო პრიზების გარდა, კონკურსის მონაწილეებმა მიიღეს ი. ა. გაგარინის ხსოვნის დიპლომები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ კოსმონავტების ავტოგრაფებიანი დიპლომები, კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის სიგელები.

საუკეთესო მოდელები და მაკეტები გამოფენილია სსრკ-ში ვრის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონში „ნორჩი ტექნიკოსები“. 12 აპრილს კოსმონავტმა მფრინავებმა გ. ს. ტიტოვმა, პ. რ. პოპოვიჩმა, ვ. თ. ბიკოვსკიმ, გ. ტ. ბერეგოვოიმ, ვ. ი. სევასტიანოვმა გაბნინეს გამოფენა. (საკდესის კორ.).

• • •

სურათზე: მარჯვნიდან მეორე — კონკურსში გამარჯვებული პირველი პრაზის მფლობელი გენადი საყვარელიძე, მარცხნიდან — ლ. ხიზმალიანი, ვ. აღიკოვი, გ. არსენიშვილი, გ. სამონიანი და კ. ლოლაძე, რომლებმაც კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის პრიზი დაიმსახურეს.

ფოტო ბ. მომსესოვისა.

ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარი

გაკურიანში მუშაობა დაამთავრა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკურმა სემინარმა, რომელიც ერთკვირას გაგრძელდა. სემინარი მოაწყო საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. იგი მიეძღვნა თემას „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ახალგაზრდობა“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს 50-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულებისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, აგრეთვე მოსკოვიდან და ნოვოსიბირსკიდან ჩამოსული სტუმრები.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გაბრეკელმა.

სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გომელაურმა წაიკითხა მოხსენება „მეცნიერული კვლევის განვითარება საბჭოთა საქართველოში და ახალგაზრდა მეცნიერთა ამოცანები“. „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოების ამოცანები“ — ამ თემაზე გააკეთა მოხსენება საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარემ რ. გაჩეჩილაძემ.

თანამედროვე მეცნიერების განვითარების აქტუალურ პრობლემებს მიუძღვნა მოხსენება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორმა გ. ოოკოვმა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მარქსისტული ფილოსოფიის კათედრის პროფესორი ე. არაბ-ოღლი — თავის მოხსენებაში შეეხო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და სოციალური დაგეგმვის პრობლემებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ძიძიგურმა გააკეთა მოხსენება „მეცნიერულ გამოკვლევათა ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“. „თანამედროვე ტექნიკური პროგრესი და ადამიანი სოციალისტურ საზოგადოებაში“ — ამ თემაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, პროფესორმა ბ. ლუტიძემ.

კულტურის ძეგლთა დაცვის პრობლემებს მიუძღვნა მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ნეიროლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ოკუჯავამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაში ბიოლოგიური ასპექტების შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გ. რამიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ჰუმანიტარული მეცნიერებანი და პროგრესი“.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია. (საქდესი).

ოქროს მატჩი თბილისში

ასეთი შემოხვევა საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში იშვიათად ხდება — პირველობა ისე ამოიწურა, რომ ოქროსა და ვერცხლის მედლების საკითხი გადაუჭრელი დარჩა. საჭირო გახდა 133-ე მატჩი. და აი, კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ ასეთი შეხვედრის ქალაქად თბილისი აირჩია. ამ მატჩის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“.

მცირე ექსკურსი მეტოქეთა წლევანდელ ურთიერთობაზე, მათს აწმყოსა და წარსულზე. თუ გადავავლებთ თვალს საკავშირო პირველობის ისტორიას, არმიელ კალათბურთელთა დამსახურება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მეტოჩისა. ცსკა ცხრაჯერ ფლობდა უმაღლეს ტიტულს, სპარტაკელები კი არც ერთხელ არ ყოფილან ჩემპიონები. ევროპის პოპულარულ ტურნირებშიც არმიელთა წარმატებანი უფრო თვალსაჩინოა. მაგალითად, ცსკა-მ ევროპის ჩემპიონთა თასი წელს მეოთხეჯერ მოიპოვა, „სპარტაკმა“ კი დამარცხება განიცადა თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში.

რაც შეეხება წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატს, აქ სპარტაკელებს უფრო მეტად ვხედავდით სატურნირო ცხრილის სათავეში, ვიდრე არმიელებს. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ოქრის გუშინდელი მატჩი საადი ინტერესი უსაზღვრო იყო და, ბუნებრივია, თბილისის სპორტის სასახლეც დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა.

მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მეტოქეებს — ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს“. აი მათი სასტარტო ხუთეული:

ცსკა — ჟარმუხამედოვი, კუზკოვი, კაპრანოვი, კოვირკინი, კოვალენკო.

„სპარტაკი“ — ბოლშაკოვი, ა. ბელოვი, ფედოროვი, ივანოვი, შტუკინი.

თავიდანვე ტემპიანი და უკომპრომისო ბრძოლის მოწმენი ვიყავით. მართალია, ანგარიში სპარტაკელებმა გაახსნეს, მაგრამ ამას მოჰყვა არმიელთა საპასუხო 2 ქულა — 2:2, მე-5 წუთისათვის კი უკვე წინ იყვნენ მოსკოველები — 13:6. 7 ქულა სტარტზე ეს ცოტას როდი ნიშნავდა, მაგრამ ლენინგრადელებმა მოდგენო 3 წუთში არა მარტო აღადგინეს წონასწორობა, არამედ დაწინაურდნენ კიდევაც—14:13. საშუალო დისტანციიდან ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა შაჩკინი. ბრძოლა გამძაფრდა, იმატა ტემპმა, მოწინააღმდეგეები რიგრიგობით უსწრებდნენ თითო ქულით ერთმანეთს. მაგრამ როდესაც არმიელებმა მოეფინენ გამოიყენეს ყველაზე მაღალი ტანის მოთამაშე ანდრეევი, სასწორი მოსკოველთა მხარეზე გადაიხარა, მე-16 წუთისათვის 3 ქულით წინ იყვნენ არმიელები, ხოლო, როდესაც ამოიწურა პირველი ტაიმი, ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს 41:34 ცსკა-ს სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ბრძოლა წინ იყო, სწორედ მეორე ტაიმის 20 წუთს უნდა გამოეკვეთნებია ჩემპიონი. მაყურებლებმა ამ დღეს მართლაც რომ დიდი კალათბურთი ნახეს, იგი აღსავსე იყო დრამატიზმით. სპარტაკელებმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე შეძლეს ქულათა სხვაობის შემცირება, მოედანი დატოვა არმიელმა კოვირკინმა, ოთხი ჯარიმა ჰქონდა მიღებული ჟარმუხამედოვს, სამი — ანდრეევს, ღილაგდა ცსკა-ს მწვრთნელი გომელსკიც. მე-10 წუთისათვის ცსკა მხოლოდ 1 ქულით უსწრებდა მეტოქეს, ხოლო მე-19 წუთზე ტაბლოზე ვხედავდით თანაბარ ციფრებს — 65:65. ყველაფერი უნდა გადაწყვეტილა არა უკანასკნელ წუთს, არამედ უკანასკნელ წამებს. ეს წამები ანასტიდეს დაავიწყებდათ სინანულის მოსაგონებლად სპარტაკელებს, ხოლო სიხარულის მომტანად არმიელებს. მაშინ როდესაც თამაშის დამთავრებას ხუთიოდე წამი აკლდა და წინ იყვნენ სპარტაკელები 69:68, მაგრამ კაპიტანმა ს. ბელოვმა უკანასკნელ წამში შეძლო გადამწყვეტი ბურთის ჩაგდება და ცსკა-ს გამარჯვება მოუტანა — 70:69.

არმიელმა კალათბურთელებმა ჩემპიონობა შეინარჩუნეს და ოქროს მედლები დაიმსახურეს, სპარტაკელებმა — ვერცხლის.

3. გაბელია.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი კალათბურთში — ცსკა-ს გუნდი.

ფოტო ბ. ბუზოხისა.

ცსკა — სსრ კავშირის ჩემპიონი

□

მატებანი უფრო თვალსაჩინოა. მაგალითად, ცსკა-მ ევროპის ჩემპიონთა თასი წელს მეოთხეჯერ მოიპოვა, „სპარტაკმა“ კი დამარცხება განიცადა თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში.

რაც შეეხება წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატს, აქ სპარტაკელებს უფრო მეტად ვხედავდით სატურნირო ცხრილის სათავეში, ვიდრე არმიელებს. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ოქრის გუშინდელი მატჩი საადი ინტერესი უსაზღვრო იყო და, ბუნებრივია, თბილისის სპორტის სასახლეც დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა.

მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მეტოქეებს — ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს“. აი მათი სასტარტო ხუთეული:

ცსკა — ჟარმუხამედოვი, კუზკოვი, კაპრანოვი, კოვირკინი, კოვალენკო.

„სპარტაკი“ — ბოლშაკოვი, ა. ბელოვი, ფედოროვი, ივანოვი, შტუკინი.

ფეხბურთის ამბები

შვეიცარიის ქალაქ ბელინცონში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, იტალიის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბულგარეთის გუნდები. ფინალში მოსკოვის ტორპედოელებმა დაამარცხეს მილანის „ინტერნაციონალე“ 3:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა 0:0. დაინიშნა ხუთ-ხუთი პენალტი, მოსკოველები 11-მეტრიანის შესრულებაში უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ.

ბალი ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გავიდა აფრიკის ქვეყნების ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის მეორე წრეში. მათ პირველი მატჩი ალჟირის გუნდთან ბამაკოში მოიგეს 1:0, ხოლო მეორე შეხვედრა სტუმრად ფრედ — 2:2 დაამთავრეს.

უეფა-ს მომავალი ტურნირის მასპინძლებმა — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ ფინალური ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა 16 გუნდის მონაწილეობით გაიმართება 22-დან 30 მაისამდე. ქვეჯგუფების მატჩები შედგება ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქში, ხოლო ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები პრაღაში.

ჩემპიონატი დამთავრდა, ჩემპიონი კი...

ახალქალაქში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის. სამწუხაროდ, ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო რესპუბლიკის ბევრმა უძლიერესმა მოჭადრაკემ.

გაიმარჯვეს თბილისელებმა ოსტატმა ალექსანდრე ბოკუჩავამ და ოსტატობის კანდიდატმა ზურაბ მიქაძემ, რომლებმაც 9,5-9,5 ქულა შეაგროვეს 14-დან. რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლენებლად მათ შორის დამატებითი მატჩი მოეწყობა.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვას დაესწრო მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელსაც ახალქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა. (საქდესი).

ასპარეზობათა კანონრამა

● **ორიოლში** დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთათვის. წარმატება ხვდა ლვოველ ოსტატობის კანდიდატს ტატიანა მოროზოვას, რომელმაც 15-დან 11,5 ქულა შეაგროვა და პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონობა გიანაღოდა.

● **ტაშკენტში** გაიმართა ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა საგაზაფხულო ტურნირი. ქალთა შორის უძლიერესი იყო ალმაატელი მ. კრიშინა, რომელმაც ფინალში დაამარცხა მოსკოველი ე. იზოპატიანი 3:6, 6:3, 6:2. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ეგორო